

კოტ (თორმეზირი)

## აზალი გზა-კვალი

ქართული გრამატიკის კვლევა-ძიების



33770

ქართული ენის შესასწავლად თუმცა მრავლად არის და-  
წერილი გრამმატიკა, მაგრამ ყოველი მათგანი ისეა შედგენი-  
ლი, თითქო ენა არსებობდეს გრამმატიკისათვის და არა გრამ-  
მატიკა ენისათვის. ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი მრავალია.  
უმთავრესი მათვანი, რასაკვირველია, საგნის სიძეელეა. ამასთან  
გრამმატიკის შეუმუშავებლობას ის გარემოებაც ხელს უწყობ-  
და, რომ ქართველი გრამმატიკოსები და უცხოელები \*), რო-  
მელთაც ჰსურვებიათ დაეწერათ ჩვენთვის გრამმატიკა, ანუ შეე-  
მუშავებინათ რომელიმე ნაწილი მისი, სრულიად არ დაჰკირ-  
ვებიან ქართული ენის სიტყვების ანატომიას. ყოველს მათგანს  
წინადავ სცოდნია ერთ-ერთი ინდო-ევროპული ენა, მიხვედრი-

\* ) აქ საჭიროდ ვრაცხთ ალვნიშნოთ, რომ 1881 წელს ფრანგულ-  
ურნალში—Revue de Linguistique et de Philologie comparée—15  
ივლისის ნომერში ახალგაზდა ლინგვისტმა, ქართულისა და სომხურის მცო-  
დნემა, I.-A. Gaffeyriast-მა დაბეჭდა ქართული გრამმატიკის შესახებ სა-  
კურადღებო სტატია — Études linguistiques sur les langues de la fa-  
mille géorgienne. გატერიასმა ანტონ კათალიკოზს იგივე უსაყვედურა, რა-  
საც ბ. დოდაშვილი უსაყვედურებს აქ, ე. ი. ის, რომ ჩვენმა გამოჩენილმა  
გრამმატიკოსმა ქართული გრამმატიკა მთლად ერთიანად ბერძნულ-ლათინუ-  
რი გრამმატიკის ნიმუშზე შეადგინა. თვითონ კი ნიჭიერი ფრანგი შეუდგა  
ქართული გრამმატიკის თავისებური პრინციპების გამორჩევას, მაგრამ, სამწუ-  
ხაროდ, ახალგაზდა სწავლულმა მხოლოდ გამოარკვია ხსენებულ სტატიაში  
შიტყვათა წარმოება და, რამდენადაც ვიცით, მეტი ალარა დაუწერია-რა ქარ-  
თული გრამმატიკის შესახებ, რადგანაც მალე გარდაიცვალა.

დედ.

ლა ბერძენ-რომატიკის გრამატიკის საზოგადო გეგმას და ამ-გვარად თითქო შედარებით გამოუჭრია ჩვენთვის ამ გეგმაზე ქართული გრამმატიკა. აგვლომერაცია ელემენტებისა, ანუ ელემენტების ასხმა-აკინძვა, როგორც ვნახავთ და დაერწმუნდებით, უმთაერეს თვისებას შეადგენს ქართული ენისას. სამწუხაროდ ამ თვისებისათვის სრულიად არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ ჩვენის გრამმატიკის მკვლევარ-მძიებელთა.

ეტიმოლოგიის თავდათავ ნაწილებად ითვლება კანკლელობა და ულვლილება. აქ უნდა გავარჩიოთ ეს ორი ნაწილი ქართულის გრამმატიკისა, შემდეგ ამისა ავხსნათ, რაგვარს აგებულებას წარმოადგენს საზოგადოდ ყოველი ქართული სიტყვიერი ფორმა და კუჩვენოთ მკითხველებს, თუ რა გზასა და კვალს უნდა დაადგეს ჩვენში კვლევა-ძიება იმ მეცნიერების დარგისა, რომელსაც ვუწოდებთ გრამმატიკას.

## I

## განკლედობა

ჩვენი გრამმატიკოსები იმ ხმოვანთა და თანახმოვან ბგერათა მიხედვით, რომლითაც ვითომც და ბოლოვდებოდეს სახელობითი ბრუნვაში არსებითი სახელები (ა, ე, ი, ო, უ, მ, ნ, რ, ბ, ლ...), გვინიშნავენ გრამმატიკაში რამდენსამე კანკლელობას, მაშინ როდესაც მათგან მიღებული ნიშნები სიტყვების დამაბოლოვებელნი კი არარიან, არამედ ტემისა, რაღანაც წინანდელი სიტყვის დამაბოლოვებელი ღ ყველგან მოვარდა, გარდა სიტყვებისა ი-ზე: მამა-(ი), სრუტე-(ი), ხარო-(ი), კუ-(ი), კაც-ი, ავთანდილ-(ი), დარეჯან-(ი), იოსებ-(ი), გოჯასპირ-(ი) და სხვები...

ეს ერთიანობა დამაბოლოვებელის ნიშნისა სახელობისი ბრუნვაში საზოგადოდ ყველა კანკლელობას აერთებს და მაშა-სადამე აბათილებს იმ აზრს ჩვენის გრამმატიკოსებისას, ვითომც რამდენიმე კანკლელობა არსებობდეს ქართულს გრამმატიკაში.

დიდი ხნის კამათობის შემდეგ, ამ ბოლო დროს ჩვენი გრამმატიკულსები დაადგნენ რვა ბრუნვას:

1) სახელობითი:

მამა-(ი), სრუტე-(ი), ხარო-(ი), კუ-(ი), კაც-ი . . . . .

2) ნათესაობითი:

მამა-სი,	სრუტე-სი,	ხარო-სი,	კუ-სი,	კაც-სი . . . . .
მამი-სა				კაც-ის

3) მიცემითი:

მამა-სა, სრუტე-სა, ხარო-სა, კუ-სა, კაც-სა . . . . .

4) მოთხრობითი:

მამა-მან, სრუტე-მან, ხარო-მან, კუ-მან, კაც-მან . . . . . მან

5) მოქმედებითი:

მამა-თი,	სრუტე-თი,	ხარო-თი,	კუ-თი,	კაც-თი . . . . .
მამ-ით				კაც-ით

6) ცვალებადი:

მამა-(ა)დ, სრუტე-(ა)დ, ხარო-(ა)დ, კუ-(ა)დ, კაც-ად. . . . . ად

7) ხმობითი:

მამა-ო, სრუტე-ო, ხარო-ო, კუ-ო, კაც-ო . . . . . ო

8) შემასმენელობითი: როგორც სახელობითი.

1) სახელობითი ბრუნვის ნიშანი არის ი. ამ ი-ს დიდი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ ქართულს ენა-ში. ამ ბევრით ბოლოვდებოდა ყოველი არსებითი სახელი და არის შემოკლებული სახელთ-ნაცვალი ის. დაუკვირდით ნეოლოგიზ-მებს; ამასთან გარესხენეთ, რომ გლეხები დღესაც უმატებენ ი-ს ყოველს არსებითი სახელს და მათის გამოთქმით გამოდის: ლა-ლაი, ტურაი, ბეგარაი, სრუტეი, ხაროი.

ენა ვერ დარჩება ერთსა და იმავე ფაზისზე: იგი ირკვევა, ვრცელდება, უმჯობესდება და ეს მოვლენაც, ესე იგი მოვარ-დნა ზოგიერთს სიტყვებში დამაბოლოვებელის ი-სა და ამით წინ მჯდომ ხმოვანთა გარდა ქმნა დამაბოლოვებელ ბგერად, უნდა მიეწეროს ენის გაუმჯობესობას, რაღაც უყრთა სმენისათვის უფრო კაი გასაგონია ამისთანა გამოთქმა: ბენდელა, ვარდკა-ჭაჭა, სოკო, თხუნელა, მინამ ბენდელაი, ვარდკაჭაჭაი, სოკოი, თხუნელაი. გურულები დღესაც ასე ამბობენ: დედაი, მამაი. მოისმინეთ ხეესურთა ლაპარაკი. ქართველების ენაც ოდესმე მდგარა იმ ფაზისზედ, რა ფაზისზედაც, სდგას დღეს ხევსურთა

ენა. ეს ო, ვიმეორებ, უნდა იყვეს ჩვენებითი სახელთ-ნაცვალი ის. შეადარეთ სოფლური გამოთქმა: ი რა? — ი, ვერანაი!

აგრედვე საბუთად მოსაყვანია შემოკლება ამ სახელთ-ნაცვალისა ზმნაში — არის, არის მაგიერ. ამასთან ი იმატებს მარცვლებს გი, მან, გიგე, გიგემან, გიცა... და ამგვარად გამოდის: იგი, იმან, იგიგე, იგიგემან, იგიცა... რაც შეეხება თანახმოვან ბერიათა შემდეგ ი-ის მოეარდნას, ეს ხდება სახელწოდებაში და აიხსნება ჩქარის გამოთქმის სურვილით: ალვისახარ, ვარდისახარ, ნესტანდარეჯან, ავთანდილ და სხვა.

2) ელემენტი სი ორსავე მხრით უჯდება უმთავრეს ძირსა: ხან როგორც სუფიქსი (ამ შემთხვევაში იგრა ნიშანი ნათესაობითის ბრუნვისა) და ხანაც როგორც პრეფიქსი. ამ უკანასკნელს შემთხვევაში იგი ნიშავს ვისიმე, ანუ რისამე თვისებას, ერთის სიტყვით, ეს ელემენტი სი პრეფიქსობაში ჰგადებს სრულიად სხვა არსებითი სახელს:

მამა — — მამა-სი	მრუდე — მრუდე-სი — სი-მრუდე (მრუდის თვისება)
მამა+არი — სი-მამ-რი (მამის თვისებიანს, მამის მოადგილეს).	
დედა — — დედა-სი	უცხო — უცხო-სი — სი-უცხო-ვ-ე. პატარა — პატარა -სი — სი-პატარა-ვ-ე.
დედა+არი — სი-დედ-რი (დედის მოადგილეს).	

ელემენტი სი თუმცა სუფიქსობაში ზოგ აღგილას შეცვლილა კეთილ-ხმოვანებისათვის, მაგრამ პრეფიქსობაში კი იგი დარჩენილა თავისის სახით. რამდენიმე შემთხვევაში სუფიქსობაშიაც შეცვიდლიან კიდე ვუჩვენოთ იგი მკითხველს სრულის შეუცვლელის სახით, მაგალითად, ზედ-შესრული სახელების ასეთს ფორმებში:

უ-მ-შვენი-ერე-სი (უფრო მშვენერისა)

უ-უ-მ-ჯობ-ე-სი (უფრო უფრო მჯობისა)

უ-უ-წარ-ჩინ-ებ-ულ-ე-სი (უფრო უფრო წარჩინებულისა)

აი კიდევ სახელთ-ნაცვალში:

მან — მი-სი, მაგი — მაგი-სი, ვინ — ვი-სი, რამე — რამე-სი და სხვები...

ელემენტები სი, უ, მ.... როგორც პრეფიქსები, ახდენენ  
დამაბოლოვებელ ხმოვანზე რეტროგრესიულს ასსიმილაციას:

შვენ-ი—შვენ-ი-არ-ი—მ-შვენ-ი-ერ-ი	— უ-მ-შვენ-ი-ერე-სი
მთელ-ი	— სი-მთელ-ე
ლამაზ-ი	— სი-ლამაზ-ე
პატარა-(ი)	— სი-პატარა-ვ-ე
პაწაწა-(ი)	— სი-პაწაწა-ვ-ე
მოკლე-(ი)	— სი-მოკლე-ვ-ე
არ-ი	— უ-არ-ე-სი
მართ-ებ-ულ-ი—უ-მართ-ებ-ულ-ე-სი	
გა-ნათ-ლ-ებ-ულ-ი—უ-გა-ნათ-ლ-ებ-ულ-ე-სი	

ჰიატუსს, ანუ ხმოვანთა შეხვედრას, ხშირად გაურბის ქარ  
თული ენა და ამ შემთხვევაში გ-ს ჩაუსვამს ხოლმე. ამითი აი-  
სნენება ფორმები:

უცხო- (ი) — სიუცხოე — სიუცხო-ვ-ე
პატარა- (ი) — სიპატარაე — სიპატარა-ვ-ე
პაწაწა- (ი) — სიპაწაწაე — სიპაწაწა-ვ-ე

3) მიცემითი ბრუნვის ელემენტი სა ისევე, როგორც ელე-  
მენტი სი, იხმარება სიტყვებში სუფიქსად და პრეფიქსად\*), მა-  
გალითად:

ქათამ-ი — ქათამ-სა — სა-ქათმ-ე
კაც-ი — კაც - სა — სა-კაც-ე
სახლ-ი — სახლ - სა — სა-სახლ-ე
მეფე — მეფე - სა — სა-მეფ-ო
წყალ-ი — წყალ - სა — სა-წყალი...

აქაც დაუკირდით რეტროგრესიულს ასსიმილაციას.

\* ) შესანიშნავია, რომ პრეფიქსობაში ელემენტი სა ბუნებრივს მნი-  
შვნელობას სიტყვისას სრულიად გარდაპქნის ხოლმე, მაგალითად სიტყვა-  
ში სა ქათ მ ე არსებითი სახელს ქათა მ ი ეკარგება თავისი ბუნებრივი  
მნიშვნელობა და ამ სიტყვით ს ა ქათ მ ე პირველად ქათა მ ი კი არ წარ-  
მოგვიღება გონებაში, არამედ შენობა, რომელშიაც ვამწყვდევთ ხოლმე  
ქათმებსა. აგრედვე სიტყვაზე ს ა კაც ე თავში მსწრაფლად გვერატება წარ-  
მოდგენა ბალდა ა ს ი ნ ი ს ა, რომლითაც ცხედარი მიაქვთ ხოლმე. ამგვა-  
რად მნიშვნელობის გარდაქმნას სიტყვებში ეწილება სიმაზიოლოგიური  
გარდაქმნა.

აგრედვე ღირს-შესანიშნავია სხვა-და-სხვა ვარიაციები მი-ცემითისა და ნათესაობითის ბრუნვათა ელემენტების გადაბმ-გადმობმისა პრეფიქსობაში და სუფიქსობაში.

წყალ-ი — — სა-წყალ-ი — — სი-სა-წყლ-ე  
 ცინვა — — სა-ცინვო (სა-ცინო) სა-სა-ცინ-ო  
 მამა—მამა-არი—სი-მამრი—სა-სი-მამრ-ო  
 დედა — — დედ-ისა-სა (დედა-სი-სა)  
 მამა-მთილი— მამა-მთილ-ისა-სა...

4) „ივანემ მოჰკლა სერგო, დურგალმა ააშენა სახლი, ქა-თამმა აკენკა საკენკი, ლამპარმა გაანათა ოთახი“.

ნეტა ან ივანე, ან დურგალი, ან ქათამი, ან ლამპარი რას მოგვითხრობენ; რომ ჩვენს საგრამმატიკო ლიტერატურაში ამ ფორმებისათვის (ივანემ, დურგალმა, ქათამმა, ლამპარმა) დაურ-ქმევიათ მოთხრობითი ბრუნვა? ენას თავის განვითარების დროს საჭიროდ უცვნია სახელობითი ბრუნვაში არსებითი სახელისა-თვის მოემატებინა ნაცვალ-სახელი მან იმ შემთხვევაში, რო-დესაც წინადადებაში %მნას მოზდევს შემასმენელობითი ბრუ-ნვა. მიზეზი მან-ის მომატებისა იმაში მდგომარეობს, რომ არ არეულიყო აზრი და გაგვეგო, მაგალითად — ივანემ მოჰკლა სე-რგო, თუ სერგომ ივანე. ეს არის სინტაქსიური შემოღება და სრულიადაც არ შეადგენს ეს ფორმები ცალკე ბრუნვას.

5) მოქმედებითი ბრუნვა უნდა გაირჩეს დადებითი და უარ-ყოფითი, რადგანაც უარ-ყოფითი პრეფიქსი უ ბოლო ხმო-ვანზე ახდენს ცვალებას, რომელიც გამოწვეულია რეტროგრეს-სიულის ასსიმილაციით:

რით?	ურაოთ?	} კოვზით — უკოვზოთ ნემსით — უნემსით მამით — უმამოთ ძმით — უძმოთ
ვისით?	უვისოთ?	

მოქმედებითი ბრუნვის ელემენტს სხვა-და-სხვა ბრუნვის ელემენტებიც მოსდევს ხოლმე:

რამე — რამით — რამითისას

ნათესაობა — ნათესაობითი — (ზედ-შესრულმა ნათესაობითისამ გამოიწვია ესა და ეს აზრი წინადადებაში).

მოღით და ახლა გამოიცანით, რა ბრუნვაშია სიტყვები: რამითისას, ნათესაობითისამ, — მოქმედებითში, ნათესაობითში, მიცემითში თუ სინტაქსიურ სახელობითში?

6) ცვალებადი. ეს ტერმინი არ მოგვწონს, რადგანაც არავითარს ცვლილებას არ ახდენს ეს ბრუნვა. სად მივალ? ქალაქად, სოფლად... ამ წინადადებაში: „ნეტა ეხლა ფრინვლად მაქცია, რომ გავფრინდე ჩემს საყვარელთან“, ქართველი იმას კი არ ამბობს, რომ ფრინვლად მიუვიდე საყვარელსაო, სრულიადაც არა. მას ჰსურს ღროებით ფრინვლის თვისება მიღლოს ფრენაში, ერთის სიტყვით, რომ შეეძლოს ფრინვლის ქერქში ჩაძრომა, ისევ კაცად დარჩენილს, მანძილის გადასაფრენად. აქაც ამ ფორმაში ფრინვლად ადგილის გამოხატვა იქნება და არა რაღაც გარდაქმნა აღამიანისა გინდ ფრინვლად, გინდ ნაღირად. ამ ადგილობითი ბრუნვის დადებითი და უარყოფითი ფორმები დამაბოლოვებელის მარცვლით იგივეობენ, რადგანაც უარყოფითი ელემენტი არ ბოლოდან უჯდება და ვერ მოახდენს რეტროგრადულს ასსიმილაციას:

რად? რად არ? — მტვრად — მტვრად არ

— ფრინვლად — ფრინვლად არ...

7) ხმობითი ბრუნვა ბოლოვდება თ-ზე. საზოგადოდ ხმოვანებს დიდი მნიშვნელობა აქვსთ ქართულს ენაში ადგილისა, დროისა, რაოდენობისა და ვითარების გამოხატვაში.

ამდენი	— ემდენი	— ემდენი
ასრე	— ესრე	— ესრე
ამოდენა	— ემოდენა	— ემოდენა
აგრე	— ეგრე	— ეგრე
ამიერი	—	— ემიერი

ჩვენს ლიტერატურაში ხშირად შეხვდებით ქვემოდ ნაჩვენები ფორმების განურჩევლად ხმარებას, მაშინ როდესაც ყოველს იმ ფორმათაგანს თავისი განსაზღრული მნიშვნელობა აქვს:


ასრე	— ესრე
ამდენი	— ემდენი
ასეთი	— ესეთი
ამოდენა	— ემოდენა

სიტყვებში: ასრე, ასეთი, ამოდენა გამოიხატება აზრი განუსაზღვრებით, მეორე რიგ სიტყვებში კი განსაზღვრებით.

გადავსინჯოთ ახლა სხვა სიტყვები, რა გვარ აზრის შეცვლას ახდენენ მათში ხმოვანები:

მორბის	— მორბის
მოჰკრის	— მოჰკრის
მოჰტრინავს	— მოჰტრინავს
მირბენ	— მირბენა
მიქროლ	— მიქროლვა და სხვები...

ამ გვარ მაგალითებში გვიჩვენებს პირისა, ანუ საგნის მოახლოვებას მთქმელთან, ი კი პირისა, ანუ საგნის განშორებას. აი, ხმობითი ბრუნვაშიაც და ამ გვარადვე ნიშნავს მოახლოვებას, ანუ სურვილს მოახლოვებისას დამძახებელთან. ხმოვანები ამ გარჩეულ მაგალითებში, აზრის გამოხატვის დაგვარშეგვიძლიან გრაფიულად გადავცეთ მკითხველს ასე.



ამასთან ხმოვანები თვით ბრუნვათა ელემენტებშიაც (სი, სა, თი, თა, ად) არა ჰკარგავენ აზრის თავისებურს აღნიშვნას.

ასევე შესანიშნავია ხმოვანებით აზრის ცვლა საზოგადოდ ზმნებშიაც.

ვაწერ  
ვიწერ  
ვეწერვი  
ვუწერ

ახლა, ვიდრე შევუდგებოდეთ ზრდის განხილვას, ჩვენ გადა-  
ვსინჯოთ რამდენიმე მაგალითი ქართული ენის სიტყვების წარ-  
მოებისა:

მამა-(ი)-უ-მამ(ა)-ო—უ-მამ-ო-სა—უ-მამ-ო-სა-ვით

უ-მამ-ო-სა-ვით-ა-ცა—უ-მამ-ო-სა-ვით-ა-ცა-ო

მამა — მამა-მთილ-ი—სა-მამა-მთილ-ო—სა-მამა-მთილ-ო-სა

სა-მამა-მთილ-ო-სა-გან—სა-მამა-მთილ-ო-სა-გან-ვე—სა-მამა-  
მთილ-ო-სა-გან-ვე-ო

ხელ-ი—ხელ-ად (აღგილობილი ბრუნვა, ისე მარდად მოიტანა, თი-  
თქო ხელში ჰქონდაო)

აქედამ—ხელადა (ჭურჭელი)—ხელ-ად-ა-თი (ხელადით)

ხელ-ად-ით-ვე უ-ხელ-ად-ო-თი-ვე—უ-ხელ-ად-ო-თი-ვე-ო

საყურადღებოა აგრედვე ის მოვლენაც, რომ სიტყვების  
წარმოებაში ხშირად მიცემითი ბრუნვის ელემენტს სა-ს ეკვე-  
თება წინიდან ს და წარმოებაში პრეფიქსად რჩება მარტო ა:

დგმა — სა-დგ-ო-მ-ი — ზედ-სა-დგ-ო-მ-ი

— ზედ-სა-დგ-ო-მი-არი. — ზედ-ს-დგარი

შარტვა — სა-შარტ-ი — ს-შარტ-ი — ა-რტაშ-ი  
— ა-რტახ-ი

კიდვა — სა-კიდ-ო — ს-კიდ-ო

ყბა — სა-ყბ-ე — ს-ყბე-ული (ვილი)

ა-ყბე-ური

ჭიმყა — სა-ჭიმი — ა-ჭიმი

ჭიდვა — სა-ჭიდო — ს-ჭიდო-არი — ა-ჭინარი.

ერთის სიტყვით, ქართულს ენაში ჩვენ ვერა ვხედავთ ისეთს  
ორგანულს ელემენტებს კანკლენდობისას, როგორც არაბულს  
სალიტერატურო ენაში, ანუ ინდო-ევროპელთა ენებში. ჩვენი  
კანკლენდობის ფორმები და საზოგადოდ სიტყვის წარმოება  
წარმოადგენს მარტივ ელემენტების აგვლომერაციას, ანუ ასემა-

აკინძვას. თვით ის უთანხმოება, მოურიგებლობა ჩვენ გრამმა-ტიკოსთა შორის შესახებ ბრუნვათა რაოდენობისა მჭევრ-მეტყველურად ამტკიცებს ჩვენგნით ნათქვამსა. თვით ის საზო-გადო გაურკვევლობა და წყვდიაღით მოსილობა ჩვენი გრამმა-ტიკის ყაველი ნაწილისა დაჯერებით, დაბეჯიკებით გვეუბ-ნება, რომ ჩვენი გრამმატიკოსები ტყუილ გზას აღგნენ თავიანთ საგნის კვლევა-ძიებაში. ქართულისთანა ენებისათვის დაწერილი გრამმატიკა უნდა შეიცავდეს ელემენტების სწავლებას, და გვი-ჩვენებდეს, თუ რა ელემენტს რა აღილი უჭირავს აგგლომე-რაციაში, ანუ ელემენტთა ასხმა-აკინძვაში.

ეს ხომ ასეა, მაგრამ პედაგოგიურის მხრით ჩინებული იქმნება და დავტოვოთ ეს შეიდი\*) ბრუნვა და ამგვარად ვიგულისხმოთ კიდევ კანკლედობა. თუმცა მომავალ გრამმატიკოსის მოვალე-ობად მიგვაჩნია თავის გრამმატიკაში გვებაასოს აგრედვე ელე-მენტების შესახებაც: ბრუნვათა ელემენტები რა მნიშვნელობას აძლევენ სიტყვას სუფიქსობაში, პრეფიქსობაში? რომელი ბრუნ-ვითი ელემენტები იხმარება მარტო სუფიქსობაში, მარტო პრე-ფიქსობაში, რომელი პრეფიქსობაში და სუფიქსობაში? რა პრე-ფიქსები რა ცვლილებას ახდენენ დამაბოლოვებელ ხმოვანზე? როგორ გაღიბმ-გადმოიბმიან ბრუნვათა ელემენტები სუფიქსო-ბაში, პრეფიქსობაში? და სხვა ამგვარად ...

## II

## უღგღლება

წინად, ვიდრე გადავცემდეთ მკითხველს ახალს მოსაზრე-ბას ზმნათა უღვლილების შესახებ, ჩვენი მოვალეობაა გავაცნოთ მას მოკლედ ყოველივე, რაც კი ჩვენამდე საყურადღებო წარ-მოთქმულა ამავე საგანზე.

ანტონ კათალიკოზი, რომელიც ქართველი ფილოსოფო-სის ითანებ პეტრიწის შემდეგ ირიცხება ჩვენში პირველ გრამმა-

\*) სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, შემასმენელობითი, მოქმე-დებითი, ხმობითი და აღგილობითი.

ტიკოსად, ჰერონის ქართულს ზმნებს რვა ულვლილებად. ყოველს ულვლილებას, მისის აზრით, აქვს თავთავისი ნიშანი, რომელიც უნდა ეძიოთ პირველის პირის ფორმაში მოთხრობითი დახრისა აწმყოს ბოლო მარცვალში და იქნება ერთ-ერთი შემდეგ „ხმოვანთა, ნახევარ-ხმოვანთა და შუა-ხმოვანთა“-განი: ა, ე, შ, ი, ღ, უ, ჯ, გ. ამასთან ყოველს ამ რვა ულვლილებათაგანს აქვს მრავლად თავთავისი განყოფილება, რომელთა გარჩევა აქაც მეტად არევ-დარევით არის ნაჩვენები. პირველ ულვლილებას ნიშნით ა (შევკრავ, ვესავ, ვჰკაფ...) აქვს მის გრამმატიკაში 7 ცალკე განყოფილება.

მეორე ულვლილებას ნიშნით	— ე — 15 განყოფილება
შესამეს ნიშნით	— შ — 7 გან.
მეოთხეს	— ო — 12
მეხუთეს	— თ — 8
მეექვსეს	— უ — 4
მეშვიდეს	— ჯ — 1
მერვეს	— გ — 7

ამგვარად ანტონ ქათალიკოზის შეხედულობით ქართული ზმნები სამოცხე მეტ სხვა-და-სხვა გვარ განყოფილებაში არის მოთავსებული.

ქათალიკოზის მიერ აღნიშნულ ნიშნებთაგანი ზოგია სუფიქსების ხმოვანი ბერა, როგორც მაგალითად: ა, ე, ღ, თუ-მცა უსუფიქსო ზმნებში იგივე ხმოვანნი შეიძლება იყვეს ძირეულიც. დანარჩენ ნიშნებთაგანში ზოგი სიტყვის ძირის კუთვნილებას შეაღენს, როგორც: უ, შ—ვჰს-ცურ, ვჰკური, ზოგი არის ფორმის დამაბოლოვებელი სუფიქსი, მაგალითად: ი—გან-ვჰ-ხდ-ი, ზოგი ნიშანი კიდევ შეაღენს მთელს მარცვალს, ე. ი. ძირის ბერას და დამაბოლოვებელ სუფიქსს, მაგალითად: ჯ სიტყვაში ვიტყვი (ანტონის ტრანსკრიფციით ვიტყვ): ამასთანავე ნიშნად აქვს მიღებული ქართულში არ არსებული ბერა უ, რომელიც იგივეა რაც სომხურში ლ და უდრის არაბულს სუკუნს, და რუსულს თ.

არხიერებისკოპოზმა გაიოზმა, ანტონის შეგირდმა, 1789 წ. კრემენჩუკში გამოსცა თავისი ვრამმატიკა, რომელშიაც გვინი-

ნი შნავს რვის მაგივრად მხოლოდ ექვსს უღვლილებას. ვარლაამი კია, პირველი საქართველოს ექსარხოსი, თავის გრამმატიკაში გვაძლევს 7 უღვლილებას, თუმცა სიმოკლისათვის მოჰყავს მაგალითები მარტო სამი უღვლილებისა.

ყველა ზმის შესახები მოსაზრებანი გაიოზისა, ვარლაამისა, აგრედვე ბატონიშვილის დავითისა და სხვა მათთა მიმდევართა ფრიად ცოტა რითმე განირჩევა ანტონისებურ თეორიისაგან. ამათ ყველას ნიშნებად მიღებული აქვთ იგივე „ხმოვანნი, ნახევარ-ხმოვანნი და შუა-ხმოვანნი“, როგორც ანტონ კათალიკოზს.

შესანიშნავია, რომ არც ერთი მათგანი არ გვეუბნება, თუ ზმნების უღვლილებაზე დაყოფისათვის რა მიზეზით, ანუ რა საბუთით მიუღიათ ზოგან ფორმის დამაბოლოვებელი სუფიქსი, ზოგან ძირეული ხმოვანი, ზოგან სუფიქსთა ხმოვანნი და არა მათი თანახმოვანნი, ანუ მთლიად სუფიქსები.

ეს ძნელად გამოსარკვევი და მეტად გაუგებარი კლასიფიკაცია ვერ იბოგინებდა დიდ ხანს. მაშინ, როდესაც ერთი რიგი გრამმატიკოსებისა იყარგებოდა რაღაც საბორძიკო ანტონის მიერ ნაანდერძევს ნიშნებში, მეორე რიგი გრამმატიკოსებისა: სოლომონ დოდაშვილი, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ყიფიანი და სხვები იასე ჩუბინაშვილის მოთავეობით, უკვირდებოდა ქართულ ზმნებში პრეფიქსების შეცვლას. ამათ შენიშნეს, რომ ზმნებსა აწყვოს პირველი პირის ფორმაში ხან ვ მოუძღვით, ხან მ.

შენიშნეს თუ არა ესა, მაშინვე დაადგინეს ორი უღვლილება:

პირველს უღვლილებას აკუთვნეს ზმნები პრეფიქსით ვ და მეორეს ზმნები პრეფიქსით მ. ასე და ამ გვარად დღემდე თვით ბბ. ქუთათელაძე, უორდანია და ხუნდაძემდე ჩვენი გრამმატიკოსები მაგრადა და მედგრად დასდგომიან ამ კლასსიფიკაციას და უნებლიერ ყურს იყრუებენ ყველა ახალს მოსაზრებაზე: შესახებ იმავე საგნისა.

ეს ახალი კლასსითიკაცია, მართალია, პროველის შეხედვით ყველას, ვისაც კი თითონ არ მოუჭიდნია ხელი ამავე საგნის კვლევა-ძიებისათვისა, ეჩვენება უფრო მარტივად და ფრიად დამაკმაყოფილებლად, ვიდრე ანტონისებური კლასსითიკაცია არის, მარამ, ლრმად რომ ჩაუკვირდეთ საგანსა და გაუკეთოთ ანალიზი ზმნათა ფორმებსა, დარწმუნდებით, რომ ეს თეორია, მომხიბლავი ყველა სიმარტივისა და სიადვილის მძებნელისა, არის მარტო ხელოვნებითი თეორია და ოდნავაც არის ვერ გაუძლებს კრიტიკის მსჯავრს.

მართლაცა-და, ერთსა და იმავე ღროს ერთი და იგივე ზმნა პრეფიქსებად მიიღებს ხოლმე ცალკე გ-საც, მ-საც და ამ ორივე ელემენტს შეკავშირებითაც გმ: ვწერ, მწერ—ვმწერლობ, ვგმობ, მგმობ, ვმგმობელობ, ვაკერებ, მაკერებ, ვმკერვლობ...

ახლა თუ კი ერთი და იგივე ზმნა მათის სწავლებით გინდათ პირველს ულვლილებას აკუთხენებთ, გინთათ მეორეს, მაშრისათვის მოინდომეს ორის ულვლილების დადგენა და არა ერთისა?.. ამასთან ჩვენ არ ვიცით, მათის სწავლების მიმდევარნიც რომ ვიყვეთ, რომელს ულვლილებას ვაკუთვნოთ ამ გვარი ზმნები: ვმწერლობ, ვმკერვლობ, ვმგმობელობ... უსაფუძვლობა ამ გვარად ზმნების დაყოფისა აშკარად იგრძნო კიდეც იასე ჩუბინაშვილის ერთმა უძლიერესმა მიმდევარმა, პ. იოსელიანმა, რომელმაც თავის გრამმატიკაში ზმნების ორ ულვლილებად დაყოფის შემდეგ წამოიძახა: „თუმცა ასე დავადგინეთო, მაგრამ ყველა ქართული, ზმნა უკანონო არისო“.

ვიდრე მკითხველი საზოგადოება გაიცნობდა ნეტარ-ხსენებული ღიმიტრი ყიფიანის გრამმატიკას, 1855 წელს პეტერბურგში დაიბეჭდა გრამმატიკა განსვენებული დავით იასეს ჩუბინაშვილისა. აეტორმაც აგრედვე შეიგნო უსაფუძვლობა თეორიისა, აუხვია მას გზა და დაუწყო ზმნებს სუფიქსებიდან სინჯვა. მისი ხანგრძლივი შრომა დაგვირგვიანდა იმითი, რომ თავის გრამმატიკაში ჩამოგვითვალა ოცი ულვლილება სხვა-და-სხვა სუფიქსების მიხედვით, მაგალითად; პირველი ულვლილება სუფ-

ებ, მეორე უღვლ.—სუფ. ობ, მესამე—ავ, მეოთხე—ავ, ენ, (?) შეხუთე—ოვ (?) და სხვები ამ გეარად.

ჩვენ არ გამოუდგებით დანარჩენს გრამმატიკების განხილვას, რადგანაც ვერც ერთში ვერ შეხვდებით. რაიმე ახალს იმავე საგნის შესახებ შეხედულებას. საზოგადოდ კი ვიტყვით, რომ ჩვენი გრამმატიკას ზმნებზე შეხედულობის მხრივ წარმოადგენენ ორს ბანაკს: ერთი ბანაკი უკვირდება პრეფიქსებსა და აქა ჰერულობს ნიშნებს ზმნების უღვლილებაზე დაყოფისათვის, ხოლო მეორე ბანაკი სუფექსისებში ეძებს საჭირო ნიშნებს. პირველი კლასსითიკაცია ეკუთვნის იასე ჩუბინაშვილსა და მის მიმდევართა, ხოლო მეორე კლასსითიკაცია ოდნავ ალინიშნა ანტონ კათალიკოზის, ხელში და გამოირკვა აკადემიკოსის დავით ჩუბინაშვილის მიერ.

ლიდხანს ვუკვირდებოდით ჩუბინაშვილის ვრცელს სქემებს ოცის უღვლილებისას და დავრწმუნდით, რომ ქართული ზმნებისათვის მაგრე რიგად საყურადღებოდ არ ჩაითვლება მარტო სუფიქსები და მაშასადამე ამ სუფიქსებზე ვერ დადგინდება რომელიმე კლასსითიკაცია ყველა ზმნების უღვლილებისათვის დასაკმაყოფილებლად. უღვლილება ერთია ყველა ქართულ ზმნებისათვისა, გინდ სუფიქსი ობ ჰერნდეს ზმნას, გინდ ებ, გინდ ავ, ენ, (?) და სხვები...

ჩვენის აზრით, ვერც სუფიქსები, ვერც პრეფიქსები ვერ ალინიშვნებიან უღვლილების მაჩვენებელ ნიშნებად და, რასაკვირველია, იგივე უნდა ითქვას მათს ნაწილებზედაც. დასამტკიცებლად ამისა საკმარისია გავიხსენოთ, რომ ქართულ ზმნას ერთგვარად შეჰქვერის ცვლა სუფიქსებისაცა და პრეფიქსებისაცა. ამასთან ორივე შემთხვევაში როგორც სუფიქსები, აგრედვე პრეფიქსებიც აძლევენ ზმნის დედა-აზრს სხვა-და-სხვა კილოს. მაშასადამე, თანაბრად იღებენ მონაწილეობას ზმნების როგორც გარეგან, ანუ ფორმის მხრივ, აგრეთვე შინაგან, ანუ ლოგიკის მხრივ შეცვლა-გადაცვლაში. ახლა, თუ სუფიქსების მიხედვით ჩუბინაშვილმა საჭიროდ სცნა ზმნები დაეყო ოცს უღვლილებად, რატომ პრეფიქსებს კი არ მიაჭირა იმ გვარივე ყურადღებად,

ბა? რატო პრეფიქსებს კი არ მიანიჭა თანაბრად ის უფლებანი, რა უფლებანიც უნდა ჰქონოდათ მათ სუფიქსებთან ერთად. ნუ თუ პრეფიქსებსა ნაკლები განყოფილებანი შეეძლო ეჩვენებინა პროფესორისათვის, ვიდრე სუფიქსებსა? — არა გვგონია, რადგანაც კანონიერ პრეფიქსებად (ნახეთ ჩვენი „საგრამმატიკო ესკიზი“, დაბეჭდილი ივერიაში 1887 წ. №№ 214—222) ჩვენ მიგვაჩნია. შემდეგი: გჭ, გა, გი, გე, გუ, მჭ, მა, მი, მე, გჭმ, გამ, გიმ, გემ, გუმ, მამ, მამ, მემ. უკანასკნელ შემთხვევაში, ე. ი. პროფესორ ჩუბინაშვილს რომ ეცნო პრეფიქსებშიაც იგივე ფაქტორები ფორმალურისა და ლოგიკურის მხრივ ზმნათა დედა-აზრის ცვლისა, მაშინ მას დასჭირდებოდა დაედგინა იმდენი ულვლილება ქართულის ზმნებისათვის, რამდენი მათემატიკური თანააღრიცხვა (Сочетаниe) გამოუვიდოდა, ოროლად რომ აეღო იმ რიცხვიდან, რომელსაც შეადგენდა ჯამი პრეფიქსებისა და სუფიქსებისა ერთად.

აი, ახლა თქვენ თითონ განსაჯეთ, მკითხველო, რამდენად დაუშორდებოდა ამ მოვალეობის ასრულებით პროფესორი კეშმარიტებას, უარესად გაგვიძნელებდა საგანს და ქართულის ზმნიდან შეგვიქმნიდა რაღაც საარაკო გამოცანას.

ქართული ენა იმ ენათა თვისებისა არ არის, რომელ ენათა სიტყვების წარმოებაში იხმარება ან მარტო სუფიქსაცია, ან მარტო პრეფიქსაცია. ქართულს თანაბრად შეჰვერის პრეფიქსაცია, სუფიქსაცია და ინფიქსაცია, რაც პირველად არის აღნიშნული ამ ჩვენს წერილში. ამ ერთს საბუთითაც საკმარისად მტკიცდება, რომ ქართული ზმნების კეშმარიტისა და სრულის ულვლილებისითვის. საკმარისი არ არის მარტო სუფიქსებზე, ანუ პრეფიქსებზე დამყარებული კლასიფიკაცია, რა გინდ განსაცვიფრებელის სიმარტივით იყვეს კიდეც იგი დადგენილი. ჩვენი მოკლე კრიტიკული განხილვა ქართულის საგრამმატიკო ლიტერატურისა საჭიროებს გავიხსენოთ აგრედვე მოკლედ უცხოელ მკვლევართა აზრი შესახებ ქართულის ზმნისა. ფრი-

დრის მიულლერმა თავის „Zur Conjugation des georgischen Verbrums“-ში გამოსთქვა მეტად ახირებული აზრი, რომ ვითომც უველა ქართული ზმნის ფორმები იყვეს პერიფრაზით შემდგარი. ახირებულობა აშგარი მსჯელობისა ცხადია უკველის ქართველისათვის, რადგანაც შესაძლებელი არ არის, რომ ამგვარი ფორმები (ვჰწერ, ჰწერ, ჰწერს, ვჰწერო, ვჰწერე, მეწერე, გეწერე...) წარმომდგარნი იყვნენ შემდეგის ფორმებიდან (ვჰწერვარ, ჰწერხარ, ჰწერარის...). საზოგადოდ, რასაკვირველია, კი არ ითქმის, მაგრამ ჩვენ ზმნას აქვს ზოგან პერიფრაზით შემდგარი ფორმებიც: მიწერია, გიწერია, უწერია.... ე. ი; ჩემ მიერ წერილარს, შენ მიერ წერილარს, მის მიერ წერილარს.

ბევრად აურე ფრიდრიხ მიულლერზე ერთმა იტალიელ ბერმა ფრანჩისკო მარია მაჯიომ თავის გრამმატიკაში „Syntagmaton linguarum orientalium, quae in Georgiae regionibus audiuntur“ წარმოსთქვა უველაზე შეუწყნარებელი და მეტად მტკნარი აზრი, რომ ვითომც ქართულში იმდენი უღვლილება იყვეს, რამდენიც ზმნაა. ეს გრამმატიკა მარია-მაჯიოსი თითქმის ქვა-კუთხედ შეიქმნა შემდეგ უცხოელ მკვლევართათვის. საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ ქართული ზმნის შემუშავებაში უცხოელებმა თვით შლეიხერამდე არამც თუ არასფერი ახალი არა შესძინეს-რა ჩვენს საგრამმატიკო ლიტერატურას, არამედ, პირიქით, უფრო ბურუსით შემოსეს გამოსაკელევი საგანი. ან როგორ მოიქცეოდნენ სხვათრივ, როდესაც ქართული ენის ცოდნა მათ არა ჰქონდათ და იძულებულნი იყვნენ ესარგებლნათ იმისთანა საცოდავ წყაროებით, როგორიც იყო მათთვის შესაგნებ ენაზე დაწერილი გრამმატიკა მარია-მაჯიოსი, ანუ ფირალაშვილისა (რუსულად). ამის შემდეგ არც უნდა გვიკვირდეს, რომ უველა მათგანს ჩვენი ზმნა და მისი უღვლილება მიაჩნდა. რაღაც გაუგებარ გამოცანად, რომლისათვისაც ვითომც არც კანონი არ-სებობდეს და არც რაიმე სისტემა <sup>1)</sup>.

<sup>1)</sup> ნახეთ „О грузинской грамматической литературѣ“, проф. Цагарели.

მოქმედებითი და ვნებითი გვარის აწყობიში ქართული ზმნა  
უღვლილდება საზოგადოდ შემდეგის საზოგადო სქემით:

<b>ქ</b>	მე: მე— მა— მი— მი— კი(ქბი) მი— კი(ქბი)	შენ: შე— ა— ი— ი— კი(ქბი)	ის: ის—ს ა—ს ი—ს ი— კი(ქბი)
<b>ჩვეულებრივი მრავლობითი</b>			

<b>ღ</b>	მე— მა— მი— მე— მი მე— ს მა— ს მი— ს მე— კი— ს	გე— გა— გი— გე— გი— ს გე— ს გა— ს გი— ს გე— კი— ს	მე— მა— მი— მე— გი— ს მე— ს მა— ს მი— ს მე— კი— ს
მე, ის—მე	მე, ის—შენ	მე, შენ, ის—იმას იმათ	
<b>ჩვეულებრივი მრავლობითი</b>			
თქვენ, ისინი—მე	ჩვენ, ისინი— შენ, თქვენ	ჩვენ, თქვენ, ისინი— იმას, იმათ	

<b>გ</b>	გე— გა— გი— გე— გი— ს გე— ს გა— ს გი— ს გე— კი— ს
შენ ის—თქვენ	მე, ის—თქვენ

**შენი შენა:** ჩვეულებრივი მრავლობითი მღვმარეობს იმაში, რომ ბოლოდან ს-ის მაგიერ მრავლობითში ყველგან მთელს სქემაში უჯდება ენ. ამასთან, თუ ამ ს-სა მოსდევს ო, ამ შემთხვევაში ენ-ის მაგიერ ჯდება—ან ღანარჩენს ფორმებში კი ყველგან ემატება ბოლოდან თ.

33770

აიღეთ მაგალითად ზმნა წერა, მოკვეთეთ მას სახელ-ზმნის დამაბოლოვებელი ა, დაგრჩებათ წერ. ხაზის შაგივრად ჩაუსვით მთელს სქემაში ეს ტემა და გექმნებათ თვალ-წინ სრული ულვლილება ზმნისაგან წერა აწმყო მოქმედებითი და ვნებითი გვარისა მოთხრობითი დახრაში. (praesentis indicativi activi et passivi).

გადავსინჯოთ სხვა ზმნები. ზმნას ცხება ბრძანებითი დახრის ფორმები ექმნება: ჸ-ცხე, ა-ცხე, ი-ცხე; სწორედ ისევე სამის პრეფიქსით, როგორც ზმნას წერა—ჸ-წერე, ა-წერე, ი-წერე. რადგანაც მოყვანილი სქემა ამ სამს პრეფიქსზეა აშენებული, ამისათვის, აშკარაა, ზმნა ცხებაც უნდა დაულვლილდეს იმავე სრულის სქემით, რა სქემითაც დავაულვლილდეთ ზმნა წერა. მართლაცა-და, ამ ზმნასაც რომ მოკვეთოთ დამაბოლოვებელი ა და დარჩომილი ტემა ცხება ჩავუსვათ ყველგან ხაზის მაგივრად სქემაში, გვექმნება ამა ზმნისაგანაც სრული ულვლილება praesentis ind. act. et passivi. ერთის სიტყვით, მოკლედ რომ ვთქვათ, ამ სრულის სქემით დაულვლილდება ყოველი ზმნა სამის პრეფიქსით.

(ჸ, ა, ი): კრეჭა — ჸკრიჭე, აკრიჭე, იკრიჭე  
ცნობა — ჸცანი, აცანი, იცანი,  
გრეხა — ჸგრიხე, აგრიხე, იგრიხე...

საჭიროა მხოლოდ ხაზის მაგივრად ყველგან სქემაში ჩაესვას ტემები: კრეჭ, ცნობ, გრეხ, ბრეც და სხვა. ახლა ავილოთ ის ზმნები, რომელთაც ნაკლები პრეფიქსი ექმნება ბრძანებითი დახრის ფორმაში.

მაგალითად ზმნას ცხობა ბრძანებითი დახრაში ექმნება მარტო აცხე, იცხე, რადგანაც არ ვამბობთ ვჰცხობ, არამედ ვამბობთ ვაცხობ, ვიცხობ.

ამ ზმნის ტემა იქმნება ცხობ. ხაზის მაგივრად სქემაში თუ ჩავუსვამთ ამ ტემას, გვექმნება აგრედვე სრული ულვლილება ამა ზმნისა. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზემოდ მოყვანილს სქემაში ის ფორმები არ ექმნება მიუმართავი და

მიმართულებითი ზმნას ცხობა, რომელიც იწყება პრეფიქსით ჭ, რადგანაც აშ ზმნას, ვიმეორებ; არა აქვს ბრძანებითი დახრის ფორმა ჭ-თი. ზმნებს: გინება—აგინე, იგინე, მკობა—ამკე, იმკე, წოვება—აწოვე, იწოვე, ცემინება—აცემინე, იცემინე... სწორედ ასევე არ აქვს ბრძანებითი დახრის ფორმა ჭ-თი, ამისათვის ყოველი მათგანი დაუღვლილდება შემოკლებულის სქემით, როგორც ზმნა ცხობა.

